განმარტებითი ბარ თი პროექტში ვიზუალური ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით

ქ. თბილისში, „დელისი-3 საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ, ინტენსიფიკაციის გზის სამხრეთით, (საკ კოდი: 01.14.15.001.439) შეთანხმებული პროექტის ფრგლებში (ბრძანება #6249922 14/12/2022) საცხოვრებელი შენობების აივნებ გათვალისწინებული იყო ალუმინის ვენტილირებადი ფასადი, კერძოდ ალუმინის კომპოზიტური პანელი (თეთრი RAL 9010). შენობის კონსოლური ნაწილი პლასტიური ფორმისაა და ორი სიბრტყის შეუღლება კუთხის ნაწილში სხვადასხვა რადიუსის წრეწირებს წარმოადგენს. პროექტში ფასადის სიბრტყე, რიგელის ქვედა სიბრტყე და აივანზე შემომზღუდავი კედლის ჩახურვა ერთ დეტალად იყო მოაზრებული. კუთხის ნაწილში, სადაც მოხვევებია, მათი შეუღლება ვერ განხორციელდა დაგეგმილი პროექტის შესაბამისად (ისე რომ ყველა სამივე სიბრტყე და დამატებით მათი შეუღლება კუთხის ოვალურ ნაწილში). რთული კვანძი მხოლოდ სეგმენტურად ტეხვით თუ მიი წეოდ , რაც პროექტში მოცემული სწორი პლასტიკის იდეას ეწინააღმდეგება.

განვიხილეთ ალტერნატიული მეთოდი: ფასადის ის ნაწილი, რომელიც კონსოლურად პლადტიურ სიბრტყეებს წარმოადგენს, ის ელემენტები და შუბლი, რაც აივნის კონსოლურ ნაწილს წარმოადგენს, გამოვიყენეთ საფასადე ბეტონი და ასევე შეირჩა ყალიბის გეომეტრიები იმდაგვარად, რომ გადაბმის ხაზები და პროპორცია ყოფილიყო დაცული და მაქსიმალურად კარგად და ხარისხიანად შესრულებული, ვინაიდან ეს ბეტონის ელემენტები საბოლოო სახე შეიძლებოდა გამხდარიყო შენობის, ასევე აივნის შუბლის ზედა კუთხეების წიბოები დამუშავე ა და ასევე ჰორიზონტალური რუსტი ბეტონის სიბრტყეზე.

ბეტონის ჩასხმის შემდგომ მისი ზედაპირი დამუშავდა სამშენებლო ქიმიით (კერძოდ ბეტონის ზედაპირის დამცავი მასტიკა, სხვადასხვა პერიოდში ჩასხმის ან გაშრობის შედეგად მიღებული მცირედ განსხვავებული ტონი, ერთიან ტონალობაში მოქცევის მიზნით). იმ ნაწილებში, სადაც მკაცრად სწორი გეომეტრია გვაქვს პროექტში გამოყენებულ იქნა შეთანხმებული პროექტის შესაბამისად საფასადე ვენტილირებადი პანელები (ორი სხვადასხვა ტონალობის- ანტრაციდი RAL 7024 და თეთრი RAL 9010).

ამგვარი გადაწყვეტით ხარისხობრივი შედეგი ფასადის და ზოგადად შენობის ვიზუალური ნაწილის გაუარესებისკე ან წასულა, პირიქით უფრო მიმზიდველი გა ადა.

გთხოვ, გაითვალისწინოთ ზემოხსენებული გარემოება და მოგვცეთ ნება არსებული ა ვნების ნაწილი დარჩეს წარმოდგენილი ვიზუალის შესაბამისად.

დამატებით თვალსაჩინოებისათვის წარმოგიდგენთ მშენებარე ობიექ ის ფასადის ამსახველ ფოტო მასალას.



პროექტის ავტორი, არქიტექტორი ვალერიან (ვაკო) ვარდანია

20/11/2025